ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის

ოქმი N 25

25.06.2024
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრები:

თეა ჯუღელი, ჯემალ ბიბილეიშვილი, მარეხი ნიჟარაძე, მანანა ჩიხლაძე, მიხეილ გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე.

სულ 7 წევრი.

არ ესწრებოდა: ხათუნა არველაძე, კახა გაბუნია, ქეთევან ხურციძე, თედო მესხი, ანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.

ბატონი კობა ფხაკაძე
ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა
გაერთიანების მმართველი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველმა , ბატონმა კობა ფხაკაძემ.

კობა ფხაკაძე: ,, მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიშს, 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინჯებული პროგრამების შესრულების და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დაქვემდებარებაში არის 16 სპორტული სკოლა, რომელიც მოიცავს 38 სხვადასხვა სპორტის სახეობას. აღსანიშნავია, რომ სწავლება არის უფასო და ჯამში ირიცხება 4227 სპორტსმენი.

1. სულიკო თორთლაძის სახ. N11 სპორტთამაშების კომპლექსური სპორტული სკოლა
2. ომარ ფხაკაძის სახ. N12 კომპლექსური სპორტული სკოლა
3. ლევან კირკიტაძის სახ. ფარიკაობის N15 კომპლექსური სპორტული სკოლა
4. მაია ჩიბურდანიძის სახ. N16 ჭადრაკის სპორტული სკოლა
5. დავით ხახალეიშვილის სახ. ჭიდაობის N17 კომპლექსური სპორტული სკოლა
6. აკაკი კაკაურიძის სახ. N18 კრივის სპორტული სკოლა
7. რობერტ შავლაყაძის სახ. N19 მძლეოსნობის სპორტული სკოლა
8. მარიამ ყუფარაძის სახ. N20 ტანვარჯიშის სპორტული სკოლა
9. კონსტანტინე ლიპარტელიანის სახ. N21 ნიჩბოსნობის სპორტული სკოლა
10. N22 რაგბის სპორტული სკოლა "აია"
11. N94 ფეხბურთის სპორტული სკოლა
12. ყინულის მოედანი
13. მ.ქორქიასა და ზ.საკანდელიძის სახ. სპორტის სასახლე
14. ტაეკვანდოს სპორტული კლუბი
15. საცხენოსნო სპორტული კლუბი ,,იმედი"
16. რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი

ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 6 626 000 ლარს. იანვარი-მაისის გეგმა კი შეადგენს 2 735 000 ლარს.

მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლში - 1 380 000 ლარს, რომელიც ათვისებულია 1 372 000ლარი რაც თვის გეგმის 99,4 %-ია.

საქონელი და მომსახურების მუხლში წლიური გეგმა შეადგენს 1 760 000 ლარს, 5 თვის გეგმა კი 855 000 ლარს, ფაქტიურად დახარჯულია 852 890 ლატრი, რაც წლიური გეგმის 48,46 %-ა, ხოლო 5 თვის გეგმის 100%. საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ხელფასები, მწვრთნელების მივლინებები, კომუნალური და კავშირგაბმულობის ხარჯები, ოფისის ხარჯები, სამედიცინო ხარჯები. რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები, შენობების დაცვისა და საწვავ საპოხი მასალების შეძენის, ასევე საცურაო აუზის შენობაში აუზის სანიტარული დასუფთავების მომსახურების გაწევაში დახარჯულია 224 000 ლარი.,

სოციალური უზრუნველყოფის მუხლში წლიური გეგმა შეადგენს 35 000 ლარს, 5 თვის გეგმა კი 20000 ლარს. ფაქტობრივი ხარჯი გაწეულია 10964 ლარის.

სხვა ხარჯების მუხლიდან გაწეული გვაქვს დასუფთავების მოსაკრებლების ხარჯები და სპორტულ ღონისძიებებზე გუნდების მივლინების ხარჯები. აღნიშნული ხარჯებისათვის წლიური გეგმა შეადგენს 775 000 ლარს, ხოლო 5 თვის გეგმა 450 000, საიდანაც ათვისებულია 430 300 ლარი. რაც წლიური გეგმის 55 %-ს შეადგენს, და 5 თვის გეგმის 95,5 % -ს.

არაფინანსური აქტივების ზრდაში წლიური გეგმით გათვალისწინებულია 180 000 ლარი. აქედან 5 თვის გეგმა არის 30 000 ლარი, საიდანაც დახარჯულია 27 755 ლარი. აღნიშნული ხარჯიდან შეძენილი გვაქვს კომპიუტერები, გათბობის ქვაბის შესაფუთი კარადა, წყლის ტუმბო და სხვა. არაფინანსური მუხლიდან მე-3 კვარტალში გათვალისწინებული გვაქვს სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა, ვინაიდან აღნიშნული ინვენტარის შეძენა ექვემდებარება ტენდერს, ვვარაუდობთ მისი შეძენა განვახორციელოთ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

წარმოგიდგენთ დღემდე ჩატარებული სპორტული ღონისძიებების ნუსხას.

21 თებერვალს ქუთაისში „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024“ - ის იმერეთის რეგიონული ტურნირი გაიხსნა. „შენგელია არენაზე“ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდები ერთმანეთს მძლეოსნობაში, ხოლო სპორტის სასახლეში ბადმინტონში შეეჯიბრნენ.

9-12 მარტს ჩატარდა თემო მუშკუდიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ტურნირი ფეხბურთში. ტურნირში 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას : ქუთაისის სერვალი, ქუთაისის ტრპედო, ქუთაისის მართვე, ქუთაისის აია 2023, სამტრედიის სამტრედია, სამტრედიის ლოკომოტივი, ფოთის საფეხბურთო გუნდი, სენაკის სენაკი.

9-10 მარტს, ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა კონსტანტინე ჯანაშიას სახელობის საერთაშორისო თასი. უძლიერესი სპორტსმენები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ერთმანეთს 4 დისციპლინაში, 80, 90, 105 და +105 წონით კატეგორიებში შეეჯიბრენ.

12-13 მარტს ჩატარდა ქუთაისის საგაზაფხულო ღია პირველობა სამბოში ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 8 რეგიონის სპორტსმენმა.

29/31 მარტს სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების N15 ფარიკაობის სპორტულ სკოლაში , საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ლევან კირკიტაძის სახელობის ტურნირი ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობდნენ სპორტსმენები - თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ქობულეთიდან, ოზურგეთიდან, ზესტაფონიდან, რუსთავიდან, გარდაბანიდან. ასევე, რამდენიმე კლუბის მოფარიკავე.
11-14 აპრილს, ტაიკვონდოში ღია საერთაშორისო ჩემპიონატი გაიმართა.
ტურნირში მონაწილეობდა: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და ყაზახეთი. ასევე, ქუთაისის ტაეკვონდოს კლუბი 23 სპორტსმენით.
16 აპრილი-ქუთაისის სპორტის სასახლეში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის, მხიარული სტარტების იმერეთის რეგიონული ტური გაიმართა.
18-21 აპრილი-ქუთაისის სპორტის სასახლეში, კადეტ მოკრივეთა შორის, აკაკი კაკაურიძის სახელობის მე-13-ე საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.
16 მაისი- სპორტის სასახლეში გაიხსნა იმერეთის სასკოლო ლიგა ფეხბურთში
26 მაისი ლევან კირკიტაძის სახ. ფარიკაობის სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი დაშნით ფარიკაობაში
26 მაისი-აკაკი ნუცუბიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.
28 მაისი- თავისუფლების თამაშები გეზრბენსა და მაგიდის ჩოგბურთში .
29 მაისი- თავისუფლების თამაშები კალათბურთში.
30 მაისი-თავისუფლების თამაშები მაგიდის ჩოგბურთში.
30-31 მაისი- თავისუფლების თამაშები მინი ფეხბურთში.

ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენთა 2024 წლის მიღწეული შედეგები იანვრიდან-დღემდე

ევროპის ჩემპიონატზე და პირველობებზე

დიდები

I ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი

იუნიორები

I ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი

ევროპის თასი

იუნიორები

I ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი

კადეტები

II ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი

III ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი

მსოფლიო თასი

დიდები

III ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი

საერთაშორისო ტურნირი

დიდები

I ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი

II ადგილის მფლობელი გახდა 3 სპორტსმენი

III ადგილის მფლობელი გახდა 2 სპორტსმენი

იუნიორები

I ადგილის მფლობელი გახდა 11 სპორტსმენი

II ადგილის მფლობელი გახდა 6 სპორტსმენი

III ადგილის მფლობელი გახდა 7 სპორტსმენი

კადეტები

I ადგილის მფლობელი გახდა 49 სპორტსმენი

II ადგილის მფლობელი გახდა 35 სპორტსმენი

III ადგილის მფლობელი გახდა 42 სპორტსმენი

საქართველოს ჩემპიონატზე და პირველობებზე

დიდები

I ადგილის მფლობელი გახდა 24 სპორტსმენი

II ადგილის მფლობელი გახდა 20 სპორტსმენი

III ადგილის მფლობელი გახდა 18 სპორტსმენი

იუნიორები

I ადგილის მფლობელი გახდა 10 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 16 სპორტსმენი

კადეტები
I ადგილის მფლობელი გახდა 34 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 32 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 35 სპორტსმენი

საქართველოს თასი

დიდები
I ადგილის მფლობელი გახდა 5 სპორტსმენი

იუნიორები
I ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 1 სპორტსმენი

კადეტები
I ადგილის მფლობელი გახდა 21 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 11 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 16 სპორტსმენი

ღია პირველობა და რესპუბლიკური ტურნირები

დიდები
I ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 4 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი

იუნიორები
I ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 8 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 5 სპორტსმენი

კადეტები
I ადგილის მფლობელი გახდა 102 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 98 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 150 სპორტსმენი

იმერეთის ჩემპიონატი

კადეტები
I ადგილის მფლობელი გახდა 19 სპორტსმენი
II ადგილის მფლობელი გახდა 17 სპორტსმენი
III ადგილის მფლობელი გახდა 15 სპორტსმენი

I ადგილი - 296

II ადგილი - 253

III ადგილი – 324

სულ : 873 მედალი

ეს გახლდათ ჩვენს მიერ იანვრიდან დღემდე ჩატარებული სპორტული ღონისძიებები და აღებული შედეგები. მზად ვარ ვუპასუხო თქვენს შეკითხვებს.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები არ გამართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის წევრებმა.

ღია კენჭისყრით , ერთხმად დაადგინეს:

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ.“

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის კომისიამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს კულტურის, განათლების,

ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის

თავმჯდომარე ბექა ქებულაძე